


ხოვლე–გორას ქართულ–ავსტრიული არქეოლოგიური ექსპედიციის ტექნიკური ანგარიში (2012 წელი)

დავით მუსხელიშვილი, გურამ გრიგოლია, ვალტერ კუნტნერი, სანდრა ჰაინჩი, ვახტანგ ლიჩელი

მიმოხილვა

ხოვლე–გორას არქეოლოგიური ექსპედიცია საველე სამუშაოს აწარმოებდა 2012 წლის 15–26 აპრილს კასპის რაიონის სოფ. ხოვლეში (სურ. 1). ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ერთი მხრივ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის და მეორეს მხრივ ინსბრუკის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ცხრა დღის განმავლობაში. ექსპედიციაში მონაწილეობდა ათი დოქტორანტი და მაგისტრანტი ორივე უნივერსიტეტიდან, რომლებიც ასრულებდნენ როგორც საველე, ასევე კამერალურ სამუშაოებს.

2012 წლის სეზონზე მუშაობის მიზანი იყო „ძველი გათხრების“ განახლება, რომელიც ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა 1954 წლიდან 1961 წლამდე. ამ პერიოდში გამოვლინდა რვა ფენისგან შემდგარი ნამოსახლარის ნაწილი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. XV-IV სს–ით (სურ. 2) თუმცა, 2012 წლის გამოკვლევის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია რკინის ხანის მონაკვეთზე (V–I ფენა) და მისი მატერიალური კულტურის განვითარების შესწავლაზე.



სურ. 1 ხოვლე-გორა 2012 – განათხარი A – D თხრილების ხედი.

2011 წლის გათხრების დროს, ძველი, ძირითადი სტრატეგრაფიული თხრილის გაწმენდის შედეგად გამოვლინდა 2012 წელს სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა (სურ. 3). 1979 წელს შემუშავებული პერიოდიზაცია, სავარაუდოდ ეხებოდა დამწვარ II და VI ფენებს, რომლებიც მიუთითებენ მნიშვნელოვან ცვლილებებზე ხოვლე-გორას ნამოსახლარის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ნამოსახლარი თავდაპირველად შემოსაზღვრული იყო ბორცვის წვერზე, იგი პირველად გავრცელდა ფერდობის გასწვრივ IV ფენაში, რაც ემთხვევა რკინის ხანის მონაკვეთის დასაწყისს. II ფენაში დაფიქსირებული ნგრევის შემდეგ, I ფენაში ნამოსახლარი ისევ შემოზღუდულია ბორცვის წვერზე.

IV-II ფენები ძვ.წ. IX საუკუნიდან IV საუკუნემდე პერიოდით დათარიღდა. იგივე განსხვავებები შეინიშნება ძვ.წ. VIII-VI სს-ის ფენების დათარიღებაშიც, რომელმაც დ. მუსხელიშვილის ინტერპრეტაციის საწმინააღმდეგოდ არ გამოავლინა არავითარი ძვ.წ. XV-XIII სს-ის გვიანბრინჯაოს ხანის მასალა. აქ გამოვლენილი მასალა დათარიღდა XII-X სს-ით და მასალაში უმეტესობას წარმოადგენს ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. (ტაბ. I-V).

I	ძვ.წ. IV საუკუნე	გვიან ბრინჯაოს ხანა
II	ძვ.წ. V საუკუნე	
III	ძვ.წ. VI საუკუნე	
IV	ძვ.წ. VII-IX საუკუნე	
V	ძვ.წ. X-XII საუკუნე	გვიან ბრინჯაოს – ადრერკინის ხანის ჰორიზონტი.
VI	ძვ.წ. XIII საუკუნე	
VII	ძვ.წ. XIV საუკუნე	
VIII	ძვ.წ. XV საუკუნე	

სურ. 2: ფენების დათარიღება (დ. მუსხელიშვილის (1979) მიხედვით)

VIII-VI ფენების ხელახალმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ მასალა არასაკმარისია იმისათვის, რომ ხოვლე-გორას ნამოსახლარი მტკიცედ დათარიღდეს. დ. მუსხელიშვილის დათარიღების მიხედვით, საფორთიფიკაციო ქვის კედელი, რომელიც შემოზღუდავს ბორცვს ემთხვევა ძველი, VIII-VI ფენების პერიოდს. საფორთიფიკაციო კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე D თხრილში გმოვლინდა. ის, რომ იგი ძლიერ მოსახერხებელი იყო ზედაპირიდანაც კარგად ჩანს.

კავშირი D თხრილსა და ძირითად სტრატეგრაფიულ თხრილს შორის დასტურდება კერამიკის შედარების საფუძველზე, განსაკუთრებით დამწვარი VI ფენის გამო, მაგრამ ამ კორელაციას სჭირდება შემდგომი დადასტურება. ფუნდამენტური დასკვნა ამ ფენების დათარიღების შესახებ შესაძლოა მიღწეულ იქნას ზოგიერთი რადიოკარბონული ნიმუშის ანალიზის საფუძველზე. პირველი შედეგები მიღწეული იქნება 2012 წლის აგვისტო/სექტემბერში, თუმცაღა წინასწარული მონაცემები აჩვენებენ, რომ საფორთიფიკაციო კედელი განახლებული (რესტავრირებული) იყო გვიან რკინის ხანაში.



სურ. 3: ძველი სტრატეგრაფიული თხრილის ხედი. 2011 წელი.

ინფორმაციის ამომწურავად გაგებისათვის და სტრატეგრაფიული სიტუაციის რეკონსტრუქციისათვის, პირველ რიგში კი რკინის ხანის კერამიკული ჭურჭლის ზომებისა და ფორმების განვითარების შესწავლისათვის შესწავლილ იქნა ძვ.წ. VI–დან V ს–ის გარდამავალი პერიოდით დათარიღებული C თხრილი, გორის წვერზე. ეს ნაწილი ადრეული გათხრებისგან მთლიანად ხელშეუხებელია. შესაძლოა აღმოჩნდეს კარგად შემორჩენილი შენობის ნაწილი. აღსანიშნავია დამწვარი ალიზის კედლის სტრუქტურა, რომელიც დ. მუსხელიშვილის დათარიღების მიხედვით სტრატეგრაფიულად მდებარეობს VI და V ფენებს შორის. დროის სიმცირის გამო გათხრები კონცენტრირებული იყო ალიზის სტრუქტურის გამომჟღავნებაზე. საჭიროა მთელი C თხრილის შესწავლა, რაც დაგეგმილია მომდევნო სეზონისათვის.

გამოკვლევის მესამე ეტაპი დაკავშირებულია რკინის ხანის ნამოსახლართან. ხოვლე–გორას მიდამოებში დადასტურდა სხვადასხვა სახის ორმოები: 1. სხვადასხვა ფორმის და ზომის. 2. მართკუთხა ორმოები და 3. ნახევრად-მიწისქვეშა სტრუქტურები, რომელთა იატაკი მიწაში მდებარეობს.

ამ ორმოებში აღმოჩნდა სხვადასხვა მონოქრომული და ბიქრომული მასალა, რომელიც დ. მუსხელიშვილის მიხედვით თანხვედბა IV-II ფენებს. დაახლოებით 70 მეტრით სამხრეთით ძირითადი სტრატეგრაფიული თხრილის ხაზზე იყო ორი სტრატეგრაფიული თხრილი (4X4 მ). ჩრდილოეთით მდებარეობს თხრილი A, ხოლო სამხრეთით კიდევ ერთი თხრილი B. კერამიკული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლად გაწმენდილ თხრილებში აღმოჩენილია მხოლოდ II ფენის შესატყვისი სტრუქტურა. ამაზე მიანიშნებს ზოგიერთი ფრაგმენტის არსებობაც, რომლებიც ქურაში მაღალ ტემპერატურაზეა გამომწვარი – აქემენიდური თხელკეციანი წითელი ფერის

თასები. იმისათვის, რომ ამ მონაკვეთში უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას (რკინის ხანის ფრაგმენტების შესახებ) საფორტიფიკაციო სისტემის ჩრდილოეთით მომავალი წლისათვის დაიგეგმა გეო-მაგნიტური და გეო-რადარული დაზვერვები.

1) ნაქალაქარი – თხრილი A და თხრილი B

ზედა ფენა SE001 5 სმ სიმძლავრისაა. მისი მასალა ანალოგიურია ქვედა, SE002 ფენაში გამოვლენილი მასალისა. ზედაპირი i001 პირველად დაფიქსირდა გარკვეულ სიღრმეზე. SE002 ფენა 35-45 სმ სისქისაა და მისთვის დამახასიათებელია შესამჩნევი, ერთგვაროვანი თიხიანი მოყავისფრო მასა, ძლიერ მცირე ზომის კენჭებისა და ხრემის შემცველობით (სურ. 4). ეს საინტერესო ფაქტია, რადგან მისი ზედაპირი მდებარეობს ზუსტად II ფაზის SE009 ფენაზე რადგან II ფენაში არ ჩანს, რაიმე ძლიერი განადგურების კვალი და თითქოს II ფენა ძლიერი ხანძრის მიერ არაა განადგურებული.




სურ. 4: A თხრილის სამხრეთი კრილი.

SE009 ფენაში, რომელიც A თხრილში მდებარეობს, დადასტურდა ცხოვრების კვალი - ფართობი შემოზღუდულია ორი ქვის კედლებიანი სტრუქტურით, რომლებიც ერთმანეთს უერთდება მართი კუთხით და წარმოადგენს ქვის საძირკვლის ნარჩენებს, რომლებიც ყველაზე სავარაუდოა, რომ შემოზღუდავს ოთახის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდე. როგორც SE002 ფენამ უჩვენა, ეს შენობები სპეციალურადაა დაშლილი და არა განადგურებული, თანაც საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში. ამ უადრესი დასახლების I ფაზას მიეკუთვნება SE008 ორმო, რომლის ზედაპირი კვეთს სამხრეთით მდებარე ქვის საძირკველს. ორმოს მაქსიმალური სიღრმეა – 70 სმ და იგი შედგება უფრო მცირე ზომის, ნაწილობრივ ამოჭრილი დაღრმავებებისგან, რომელთა გვერდითი კედლები მოპირკეთებული იყო თხელი ქვის ბლოკებით. მათი ნაწილი ჯერ კიდევ შემორჩა in situ მდგომარეობაში. I და II ფაზებისათვის დამახასიათებელია წითელი ფერის კერამიკა, დიდი ზომის სამეურნეო ჭურჭლის უხეში ფრაგმენტები, ისევე როგორც თხელკედლიანი, აქემენიდური სამყაროსათვის დამახასიათებელი თასები.

A თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა სხვა ქვის

სტრუქტურის ნარჩენები, შესაძლოა მინიატურული ქუჩა, რომელიც მიეკუთვნება მესამე, ყველაზე გვიანდელი დასახლების პერიოდს. A თხრილში გამოვლინდა კიდევ SE021 და SE022 ფენები i015 ზედაპირით. ორივე თხრილში დადასტურდა ბრტყელი ჩაღრმავება, რომელიც თავდაპირველად მოპირკეთებული უნდა ყოფილიყო, რაზეც მიუთითებენ in situ მდგომარეობაში შემორჩენილი ქვის ფილები. III ფაზის მასალაში გამოვლინდა შავი ფერის კერამიკა და მხოლოდ მცირე ზომის წითელი ფერის ფრაგმენტები. ეს სიტუაცია შეიძლება დადასტურდეს დ. მუსხელიშვილის მიერ აღწერილ III ან IV ფენებთან შესაბამისობაში, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია (სურ. 5).




სურ. 5: A თხრილი, ზედაპირი i009 .

2) გორაკის წვერი – C თხრილი

გათხრები C თხრილში დაიწყო 2011 წელს. სამუშაოების დროს მოშორებული იქნა ყველაზე ზედა ფენა SE018 და ნაწილობრივ გამოჩნდა ალიზის სტრუქტურა. მიწის მასა ფერის მიხედვით სამ ძირითად ფენად იყოფა. SE018 ფენა შედგება 30 სმ სისქის ნაცროვანი და მუქი თიხოვანი მასისაგან, რომელიც არეულია 60 სმ სიგრძისა და 2 სმ სისქის ხის ნახშირის ფრაგმენტებში. ფენა მიჯნავს და ნაწილობრივ გადის ქვის კედლის სტრუქტურის ქვეშ, რომელიც ჩამოშლილია ჩრდილოეთით. ქვის კედელი აღმოჩნდა SE025 ფენაში, ღია ყავისფერ და თიხნარ ნიადაგში, მაშინ, როდესაც SE026 ფენა მოწითალო-ყავისფერი ფერისაა, შეიცავს დიდი რაოდენობით მცირე ზომის ქვებს, ისევე როგორც დამწვარი ალიზისა და ხის ნახშირის ყავისფერ და წითელი ფერის ჩანართებს. SE026 ფენის შედგენილობა, ისევე როგორც მისი განლაგება მიუთითებს, რომ იგი წარმოადგენს დამწვარი SE004 ფრაგმენტების ფენას და არის დამწვარი ალიზის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სხვაგვარად მთლიანად შემორჩენილია ზემოხსენებული ფენის სიახლოვეს. SE004 და SE026 ფენების ქვეშ მოყვითალო და ნაცროვანი ფენა მდებარეობს. (სურ. 6).

2012 წლის გათხრებმა გამოავლინა ქვის სულ მცირე ორი სტრუქტურის ნარჩენები. C თხრილი ხელახლა გაიწმინდა 2011 წელს. შესაძლოა მოხერხდეს ქვის ციკაბო ფერდობის V ფენასთან კორელაციის დადგენა.



სურ. 6: C თხრილის აღმოსავლეთი კრილი.

SE026 ფენის ნარჩენებისა და SE004 ფენის განადგურების შემდეგ აგებულია ქვის სტრუქტურა. ეს უკანასკნელი ძლიერ ცუდად იყო შემორჩენილი, ვერ ხერხდება მისი იატაკის გეგმის რეკონსტრუქცია. აღსანიშნავია, რომ აქ დაფიქსირდა მართკუთხა მოყვანილობის ფართობი, რომელიც გარშემოვლებული იყო ქვის წყობით. აქ აღმოჩნდა SE010 კულტურული ფენა, რომლის ზედაპირი თიხისებური მასითაა დაფარული. შემდგომ მოდის ჯერ განადგურების ფენა – SE011 და შემდეგ კულტურული ფენა – SE-i025. აქვე დაფიქსირდა სველი წყობით ნაგები კონსტრუქცია. (სურ. 7). უფრო ადრეულ, SE-i025 ფენაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ქვის სტრუქტურა, რომელიც პარალელურად მიყვება ზემოთხსენებულ წყობას, რომელიც შედგება თიხის შელესილობისგან და ქვის წყობისგან, რომელიც როგორც ჩანს ამავე პერიოდშია განადგურებული. გვიანდელი

ქვის სტრუქტურის კულტურული SE025 ფენა ფართოვდება მთელი C თხრილის გასწვრივ.

დასკვნის სახით – C თხრილში სამი ძირითადი პერიოდი განირჩევა: გვიანდელი ფენა, რომელიც წარმოდგენილია დამწვარი ალიზის სტრუქტურით და რომელსაც ქვის რიგი და თიხის წყობა შემოუყვება გარშემო. მასში აღმოჩნდა დანგრეული ქვის კედელი, რომელიც მიემართება განადგურების SE018 ფენას. აქ გამოვლენილი მასალა მიუთითებს, რომ ფენა წინასწარულად შესაძლოა დათარიღდეს ძვ.წ. X-IX სს–ით. კიდევ ერთხელ იქნა აღებული რადიოკარბონული ნიმუშები, რომელთა ანალიზი გაკეთდება 2013 წლის სამუშაოების დაწყებამდე.

3) ფორტიფიკაცია – D თხრილი

D თხრილში გაითხარა 5 მ–ის სიგრძის საფორტიფიკაციო კედელი. კედლის შემორჩენილი სიმაღლე – 80 სმ. კედლის შიდა და გარე პერანგი ამოვსებულია კენჭებით და მიწით. დაფიქსირდა ორი სამშენებლო ჰორიზონტი – I და II, რომელშიც შესაძლოა ორი სხვადასხვა პერიოდის საძირკველი გამოვლინდეს (სურ. 8). D თხრილის გათხრას ძლიერ შეუწყო ხელი ძველი გამოკვლევის არსებობამ, რომლიდანაც შემორჩა დაახლოებით 2 მეტრის სიგრძისა და 1 მეტრის სიგანის ქვის ლოდი, ხელშეუხებელი. იგი იდო საფორტიფიკაციო კედლის ძველი ნაწილის გასწვრივ. ზედა ფენის ქვეშ, რომელიც ძლიერ არეული იყო, მოქცეულია ქვის წყობა – SE017. იგი შერეული იყო წითლად გამომწვარ თიხასა და ნაცროვან ფენაში, რომლის დმ და სისქე დაახლოებით 30 სმ–ს აღწევს. SE017 ფენის ქვეშ აღმოჩნდა ცეცხლის კერა, რომელიც შედგებოდა მოგრძო ქვით ნაგები წრიული ნაგებობისგან და 15 სმ სიმაღლის ალიზის ნაგებობისგან. ეს უკანასკნელი განახლებულია სულ მცირე ორჯერ. ცეცხლის დასანთებ ადგილთან აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა შორის არის წითელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ღია ტიპის ჭურჭლები, რომლებიც იმეორებენ აქემენიდურ ფორმას. კერა მიწაშია ჩადგმული და გარშემოვლებულია ქვის წყობით, რომელიც სავარაუდოდ, აღებულია ციხე–სიმაგრის კედლის განახლების დროს. სამწუხაროდ, ამ ფენაში არ გამოვლინდა არავითარი მასალა, მაგრამ მისი შესაბამისი კულტურული ფენა შესაძლოა დაფიქსირდეს აღმოსავლეთ ჭრილში (აღებულია სინჯი რადიოკარბონული ანალიზისათვის). სამშენებლო ტექნიკა ორივე ქვის კედლების მშენებლობისათვის არის იდენტური და მიუთითებს საკმაოდ მოკლე ინტერვალზე ორ სამშენებლო პერიოდს შორის.



სურ. 7: C თხრილი – დასავლეთით განლაგებული ქვების ნარჩენები.




სურ. 8: D თხრილი – საფორტიფიკაციო კედლის შიდა მხარე (მიმართულია სამხრეთით).

დასკვნა


ახალი აღმოჩენებისა და ძველი გათხრების შედეგები შეჯერებულია. ნამოსახლარის განვითარების ძირითადი ნიშნები დადასტურებულია. ახალი აღმოჩენები ხოვლე-გორას მხოლოდ ძველ ფენებზე ახდენს მოდიფიკაციას, რომლებიც როგორც ჩანს უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება. დასახლების უწყვეტი მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია ძვ.წ. X ს-დან III საუკუნემდე პერიოდით ადასტურებს ამ ძეგლის მნიშვნელობას გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრერკინის ხანის პერიოდების შესწავლის თვალსაზრისით. ამ სახის გამოკვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურული განვითარებისათვის რკინის ხანის იბერიაში ურარტუდან და აქემენიდური ირანიდან სამხრეთული გავლენების გათვალისწინების პირობებში.

მიჩნეულია, რომ ხოვლე-გორას საფორტიფიკაციო კედელი აგებულია ადრერკინის ხანაში და აღდგენილ იქნა აქემენიდურ ხანაში, რითაც წარმოადგენდა ერთადერთ ცნობილ ადრერკინის ხანის ციხე-სიმაგრეს საქართველოში. უფრო მეტიც, ხოვლე-გორას ციხე-სიმაგრე იმ პერიოდისთვის გარსშემორტყმული იყო ნამოსახლარით, რომლის რადიუსი აღწევდა 200 მეტრს და კონცენტრირებული იყო ძირითადი ბორცვის გარშემო. საფორტიფიკაციო კომპლექსის მშენებლობის თარიღის დადგენა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ საკვლევ თემას მომავალი გათხრებისათვის.

ტაბ. I. SE018-ის თიხის ჭურჭელი (2011)



ტაბ. II: SE018-ის თიხის ჭურჭელი (2011)



ტაბ. III. SE018-ის თიხის ჭურჭელი (2011)

